შ.პ.ს. "იზოგრაფიკა"

# დამკვეთი

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

# პროექტი

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა
№61/ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6.
არსებული, უმოქმედო შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.

# მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

ქ. თბილისი 2018წ

# შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

-ნახაზი №-1-----------სამშენებლო გენგეგმა;

-ნახაზი №-2-----------სამონტაჟო სქემა.

# ა) განმარტებითი ბარათი

1 საშენებლო ტერიტორიაზე, ქ. თბილისი, დიღომში განლაგებულია სამი დემონტირებული ნაგებობა.
**სადემონტაჟო ნაგებობა №1 { 04/1 }**—მართკუთხედი ფორმის ნანგრევები. ნაგებობა ერთსართულიანია, უსარდაფო, ზომებით 14.40x6.45. სიმაღლე—4.30მ. კონსტრუქციული თვალსაზრისით: კედლები აგურის და მსხვილი ბლოკებისაგან, გადახურვა—ანაკრები ფილებისაგან /ნაწილობრივად ჩამოშლილი/. საძირკველი სავარაუდოდ ლენტურია.
**სადემონტაჟო ნაგებობა №2 { 01/1 }**—არკის ფორმის ლითონის კონსტრუქცია, ლითონის კავშირებით. დიამეტრი-14.97მ, სიმაღლე—7.49მ.
**სადემონტაჟო ნაგებობა №3 { 02/1 }**— მართკუთხედი ფორმის ნანგრევები. ნაგებობა ერთსართულიანია, უსარდაფო, პერიმეტრი 5.10+4.23+5.23+4.07. სიმაღლე—3.83მ კონსტრუქციული თვალსაზრისით: კედლები აგურის და მსხვილი ბლოკებისაგან, გადახურვა—ანაკრები ფილებისაგან. საძირკველი სავარაუდოდ ლენტურია.

2 საშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს: უცხო საგნის გატანა სადემონტაჟო უბნიდან, საშენებლო ნაგვის გატანა ტერიტორიიდან, გარე და შიდა ქსელების გამორთვა /არსებობის შემთხვევაში/, დროებითი "ნაგებობების" დაყენება თავისუფალ ტერიტორიაზე ჯგუფურად, დროებითი ღობის დაყენება არსებული ღობის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ამწის მუშაობის ზონაში ხეების გადაბელვა და ბუჩქოვანი მცენარეების აღება, საშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქალაქის ქსელებიდან.

3 სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.
**აკრძალულია**: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება **ორი-სამი კონსტრუქციის ერთად**!
სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:
ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ქამრებით და სათვალეებით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი დასაწყობებელი ადგილი. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების **შეწყვეტა** და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის **გამაგრება**.
ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. საშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

**შენობა №1 და №3-ის დემონტაჟის პირობები:**

კონსტრუქციების დემონტაჟი და გადმოტვირთვა მოხდეს საავტომობილო ამწე KC-3575A /ისრის სიგრძე—15.50მ/ საშუალებით. ამწის შერჩევა განპირობებულია ანაკრები კონსტრუქციების წონით და სიგრძით.

ამწის შერჩევა და მარკის შეცვლა შეიძლება მოხდეს სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად ანალოგიურ მარკაზე.

**პირველი რიგი** –გადახურვის ფილების დემონტაჟი. სამუშაოების განხორციელება მოხდეს ამწის საშუალებით. ამწე "მოძრაობს" გარე კედლიდან 4.5 მ-ზე.
**მეორე რიგი**——საკვანძე ბლოკების დემონტაჟი და აგურის წყობის დაშლა. ბლოკების დემონტაჟისას ამწე "მოძრაობს" გარე კედლიდან 4.5 მ-ზე.
**მესამე რიგი**—— გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის ამოღება. ამწე "მოძრაობს" გარე კედლიდან 4.5 მ-ზე.

**შენობა №2-ის დემონტაჟის პირობები:**

კონსტრუქციების დემონტაჟი და გადმოტვირთვა მოხდეს საავტომობილო ამწე KC-3575A /ისრის სიგრძე—15.50მ/ საშუალებით.
**პირველი რიგი**——ლითონის "არკების" დემონტაჟისას გათვალისწინდეს კავშირების მოხსნა და კონსტრუქციების "ჩამოკიდება" ამწის საშუალებით, შემდეგ გადაჭრა საძირკვლიდან. ამწე "მოძრაობს" გარე ღერძიდან 4.5 მ-ზე.
**მეორე რიგი**——გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის ამოღება.

**სამუშაოების დროს აუცილებლად გათვალისწინდეს:**
-სამონტაჟო ლითონის კიბეების დაყენება მუშებისათვის / კონსტრუქციების მიმაგრების ადგილებთან /;
-ანაკრები კონსტრუქციების შორის ნაკერების და კვანძების გახსნა დროებითი გამაგრების გათვალისწინებით;
-ანაკრები კონსტრუქციების სამონტაჟო ყულფების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობა;
-დემონტირებული კონსტრუქციების გადმოტანა და დალაგება სპეციალურ მოედანზე;
-ტრავერსების გამოყენება და მათი პარამეტრების გათვალისწინება ამწის შერჩევის დროს.

4 თვიდან მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია **40 კალენდარული დღე.** სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე.

5. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის **2007წ 28 მარტის N62 დადგენილების – "მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს** მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6. სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად მოხდეს **მშენებლობის წარმოების პროექტის** დამუშავება სამშენებლო ორგანიზაციის მიერ.

## მანქანა-მექანიზმების უწყისი

| N | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | ერთ გან. | რ-ბა |
|---|---|---|---|
| 1 | სამშენებლო ლითონის კიბე ბაქნით | ც | 2 |
| 2 | საკომპრესორო დანადგარი | ც | 1 |
| 3 | სანგრევი ჩაქუჩები | ც | 2 |
| 4 | ნიჩაბი | ც | 4 |
| 5 | ელექტროსახერხი | ც | 2 |
| 6 | სპეცტრანსპორტი | ც | 2 |
| 7 | შემდუღებელი აპარატი | ც | 2 |
| 8 | საავტომობილო ამწე | ც | 1 |
| 9 | ექსკავატორი /ნაგვის დატვირთვა/ | ც | 1 |

## საავტომობილო ამწე KC-3575A-ის ტექნიკური დახასიათება

1 ისრის სიგრძე———————————15.500
2 ისრის შვერა———————————5.75-14.800
3 ტვირთამწეობა———————————0.75-4.50ტნ
4 აწევის სიმაღლე———————————16.50-1.500

## ბ) კალენდარული გეგმა T=40 დღე

| N | სამუშაოს დასახელება | დღე | 1 თვე | 2 თვე | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 | |
| | **მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები** | | | | |
| 1 | მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება | 5 | | | |
| | **ძირითადი პერიოდის სადემონტაჟო სამუშაოები** | | | | |
| | **ეტაპი №1—შენობა №1 (04/1)** | | | | |
| 1 | **პირველი რიგი**—გადახურვის ფილების აღება; **მეორე რიგი**——ანაკრები საკედლე ბლოკების დემონტაჟი და აგურის კედლების დაშლა; **მესამე რიგი**——გრუნტის დამუშავება ხელით და სამირკვლის ამოღება | 15 | | | |
| | **ეტაპი №2—შენობა №2 (01/1)** | | | | |
| 2 | **პირველი რიგი**—ლითონის კონსტრუქციების მომზადება დემონტაჟისათვის და დემონტაჟი; **მეორე რიგი**—— გრუნტის დამუშავება ხელით და სამირკვლის ამოღება | 10 | | | |
| | **ეტაპი №3—შენობა №3 (02/1)** | | | | |
| 3 | **პირველი რიგი**—გადახურვის ფილების აღება; **მეორე რიგი**——ანაკრები საკედლე ბლოკების დემონტაჟი და აგურის კედლების დაშლა; **მესამე რიგი**——გრუნტის დამუშავება ხელით და სამირკვლის ამოღება | 10 | | | |
| | **საერთო სამუშაოები** | | | | |
| 1 | სამშენებლო ნაგვის გატანა | - | | | |
| 2 | სხვადასხვა სამუშაოები | - | | | |







92.7 m²


























21.4 m²








-3575
-15.50
4.50